



## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

( ო ქ მ ო ) №3

ქ. ბათუმი

2019 წლის 05 მარტი  
11<sup>00</sup> საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

### მ ს შ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

თამაზ სალუქვაძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლაშა სირაბიძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა მგელაძე	საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ირაკლი პატარიძე	საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ზურაბ ნაკაიძე	საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
დimitრი ჭეიშვილი	საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ომარ მახარაძე	საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ნატალია ზოიძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;
ბესარიონ გოგოტიშვილი	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;

ანზორ დევაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე;
დავით მახარაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნატალია ძიძიგური	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე;
ნერიმან ცინცაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
მირდატ ქამადაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
ელგუჯა ანდრიაძე	საკრებულოს წევრი;
არჩილ მამულაძე	საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	საკრებულოს წევრი;
რაულ თავართქილაძე	საკრებულოს წევრი;

**არ ესწრებოდნენ:**

ნოდარ დუმბაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
ირაკლი მიქელაძე	საკრებულოს წევრი;
ირაკლი თოფურიძე	საკრებულოს წევრი;
მუხამედ ართმელაძე	საკრებულოს წევრი;
ლევან ანთაძე	საკრებულოს წევრი;
როინ ზოიძე	საკრებულოს წევრი.

## **სხდომას ესწრებოდნენ:**

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი - ს. მიქელაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მ. მეტრეველი;
- ხელვაჩაურის მინიციპალიტეტის წარმომადგენლები: ი. ბოლქვაძე, ვ. ლორთქიფანიძე;
- სსიპ „ბათუმის ბულვარის“ დირექტორი - ი. ჯინჭარაძე;
- სსიპ „ბათუმის ბულვარის“ დირექტორის მოადგილე - ს. ლაზიშვილი;
- სსიპ „ბათუმის ბულვარის“ დირექტორის მოადგილე - ს. გუჯაბიძე.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე; იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე; ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ ყველა ქალბატონებს, დედებს მიულოცა ქალთა საერთაშორისო დღე და დედის დღე, მათ ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე უსურვა. სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

## **დღის წესრიგი:**

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილობითი მოსაზრება (შუამდგომლობა) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტსა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს შორის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში მოტოციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტროტრანსპორტით) გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

(თანამომხს: სსიპ „ბათუმის ბულვარის“ დირექტორის მოადგილე - სოფო ლაზიშვილი)

3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №72 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის  
იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №71 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის  
იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ერთ-ერთი საავტომობილო გზისათვის ქუჩის სტატუსის მინიჭების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის,  
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

6. „ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. N12–ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ილია (ემელიანე) ჟღენტის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის,  
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ნატალია ზოიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე)

8. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და  
ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

9. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და  
ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

10. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

11. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

12. „გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 30 ნოემბრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

13. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) მეორადი სამშენებლო და მეორადი სხვა მასალების სოციალურად დაუცველი, სტიქიით დაზარალებული და სხვა პირებისათვის გადაცემის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი სოფიო მიქელაძე)

### **სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

საკრებულოს თავმჯდომარემ - ს. თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე. მან საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადებების ოქმის სახით გადაგზავნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრმა ზ. ნაკაიძემ აღნიშნა, რომ ბათუმში გარე ვაჭრობისგან გათავისუფლდა ტროტუარები, დამყარდა წესრიგი, ამდენად მერიის თანამშრომლები, რომლებიც 24 საათის განმავლობაში მორიგეობდნენ, მან მერიის ხელმძღვანელობას, ა(ა)იპ „ბათუმის სერვისცენტრის“ უფროსს თხოვნით მიმართა, რომ აღნიშნულ საქმიანობაში ჯილდოს სახით გადაეცეთ თანხა.

საკრებულოს წევრი ა. მამულაძე უერთდება მილოცვას და აღნიშნა, რომ მერიის სამსახურების მიმართ ძალიან ბევრი საკითხები აქვს დაყენებული, მაგრამ დღემდე მყარი პასუხი არ მიუღია. დღეს ახალ საკითხებს არ ახმაურებს, რადგან მერიის სამსახურებიდან დღემდე გახმაურებულ საკითხებზე პასუხს ელოდება.

საკრებულოს წევრმა ნ. ძიძიგურმა საზოგადოებას მიაწოდა ბოლო ინფორმაცია ბათუმის საბავშვო ბაღებში ცხენის ხორცის შეტანასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა,

რომ პიროვნება, რომელიც დღეს დაკავებულია იყო შპს „ნარგულის“ მინდობილი პირი, რომელთანაც შეწყვეტილია ხელშეკრულება, ხორცზე უშუალოდ მომარაგება აღებული აქვს შპს „ნარგულის“ თავისთავზე და ის ამარაგებს საბავშვო ბაღებს. კომისიის ერთ-ერთი წევრი სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელია და დღესაც იგზავნება სინჯი სააგენტოში იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ შემოწმდეს ხორცი. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებას წერილობით ან შეუძლია ნებისმიერ დღეს აილოს სინჯი შესამოწმებლად.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ შეახსენა გასულ საკრებულოს სხდომაზე გააკეთებული განცხადების შესახებ - პარკინგის მოწესრიგებასთან დაკავშირებით, რომელიც უმნიშვნელოვანესი საკითხია ქალაქისთვის, დღეს ი.ჭავჭავაძის, ზ.გორგილაძის და დ. აღმაშენებლის ქუჩებზე არის გაჩერებული გასაყიდად ავტომობილები, რომლებიც თვეობით იყიდება. რაც შეეხება გარე ვაჭრობას, ჭავჭავაძის ქუჩაზე, სადაც ტერიტორია მთლიანად გარე ვაჭრობისგან გათავისუფლდა, მაგრამ დარჩა ქუჩის ბოლოს სახინკლე, რომელიც შემოღობილია შუშებით და დაკავებული აქვს მოქალაქეებისთვის განკუთვნილი 70 სმ ტროტუარი.

საკრებულოს წევრი მ. ქამადაძე უერთდება ქალბატონებისადმი მილოცვას. აღნიშნა, რომ ბოლო 7 წლის განმავლობაში პარტია „ქართული ოცნების“ მთავარი ჯგუფის თავისუფლად სუნთქვა გაანადგურა ხაზარაძემ და ერი, რომელიც თავისუფლად სუნთქავდა დღევანდელ დღეს მოევლინა სუნთქვაშეკრული. დღეს ქართული ოცნებიდან ხელისუფლების წარმომადგენლები სხედხართ და ამ საკითხს უნდა მიეცეს შეფასება. ბიზნეს წარმომადგენლებს და მოქალაქეებს აიტერესებს უმრავლესობის პოზიცია. მეორე საკითხს რაც შეეხება ამ ქალაქში გ. ერმაკოვის ბათუმის მერობის შემდგომ ბათუმის მერია იქცა ჩაკეტილ უწყებად და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არცერთი შპს არ იძლევა ინფორმაციას. წინა სხდომაზე გაკეთებულ განცხადებას მოჰყვა შპს „ბათუმის წყალის“ და შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ პასუხები, თურმე ისინი არ არიან საჯარო დაწესებულებები, ადმინისტრაციული ორგანოები, რომლებსაც ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება არ გააჩნიათ. მას საჯარო ინფორმაცია არ მოუთხოვია, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად კომპანია და კომპანიის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია თავისი დამფუძნებლის მიმართ. ის ითხოვს ინფორმაციას, რადგან ეჭვი აქვს ნეპოტიზმთან, კორუფციულ გარიგებასთან. თუ მათ მიმართ ეს გამოირიცხება დროულად მიაწოდონ ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვებაზე მზადაა დაეხმაროს საკრებულოს წევრებს. სხდომის შემდეგ გავისაუბროთ იური-სტებთან ერთად და კანონმდებლობით აძლევს გარანტიას ინფორმაციის მიღების თაობაზე.

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ აღნიშნა, რომ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ პირობებში ბიზნესი თავისუფალია, კერძო საკუთრება ხელშეუხებელია, მაგრამ კანონის წინაშე ყველა თანასწორია და თუკი ვინმეს არასწორი და არამართებული ბრალდება აქვს წაყენებული, ამასაც თავისი სახელი დაერქმევა.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თეზიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.**

## მ ო ს მ ი ნ ე ს :

### 1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილობითი მოსაზრება (შუამდგომლობა) ხელვაჩა-ურის მუნიციპალიტეტსა და ქალაქ ბათუმის მუნი-ციპალიტეტს შორის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ წერილობით მომართა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის თაობაზე, იმ მოტივით, რომ 2011 წელს ამ ორ მუნიციპალიტეტს შორის განხორციელებული ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შედეგად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მოექცა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დაბა, ასევე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი, ხოლო საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად აუცილებელია, რომ მუნიციპალიტეტს ჰქონდეს ადმინისტრაციული ცენტრი. შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის მიზნით განახორციელა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოსამზადებელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები, კერძოდ მოამზადა ახალი ადმინისტრაციული საზღვრების სქემატური რუკა და საზღვრების აღწერა, რომლის მიხედვითაც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გადადის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი, რომელიც მოქცეულია ფრიდონ ხალვაშის გამზირსა, გრიგოლ რობაქიძისა და ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩებს შორის. ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შედეგად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საზღვრის შემცირების ხარჯზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრები ფართოვდება 555 482.0 მ<sup>2</sup> ფართობით, რომლის პერიმეტრი 3089.0 გრმ/მეტრი.

გარდა ამისა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უზრუნველყო ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის საკითხთან დაკავშირებით მოსახლეობასთან კონსულტაციის გამართვა, კერძოდ სულ გამოიკითხა 246 მოქალაქე, რომლებიც უშუალოდ ცხოვრობენ და რეგისტრირებულნი არიან იმ ტერიტორიაზე, რომელიც ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის შედეგად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტიდან გადავა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში. გამოკითხულთა 91.463414% თანახმაა ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლაზე.

დასახელებული ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის საკითხთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილია ასევე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს - მერის დადებითი წერილობითი პოზიცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიაჩნია, რომ არსებობს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი და შესაბამისად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის

საკრებულო თანახმაა მოხდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტსა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს შორის ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (მათ შორის ი/მ მირიან თაფლაძის მიერ 10.09.2018 წელს მომზადებული ადმინისტრაციული საზღვრის სქემატური რუკის (გადასაცემი ფართობი 555 482.0 მ<sup>2</sup>; პარამეტრი 3089 გრძ/მეტრი)) შესაბამისად.

ეთხოვოს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს შესაბამისი შუამდგომლობის სამთავრობო კომისიისათვის წარდგენა.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტიდან გამომდინარე, მთავარი მოტივია, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს ადმინისტრაციული ცენტრი არ აქვს.

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ აღნიშნა, რომ ხელვაჩაურის რაიონში წლების განმავლობაში მუშაობდა, ეს თემა დაგვიანებულიც არის იქედან გამომდინარე, რომ ცენტრი იყო სასაცილო მდგომარეობაში, ერთი მხარე ეკუთვნოდა მუნიციპალიტეტს, მეორე მხარე ქალაქს, ანუ კანონის მიხედვით არ შეეძლოთ გადაადგილება მეორე მხარეს. ხელვაჩაურმა სხვა ტერიტორიებიც უნდა მოითხოვონ, რადგან ქალაქს შემოერთებული ტერიტორიები დღემდე მოუწესრიგებელია.

საკრებულოს წევრი რ. თავართქილაძე ფიქრობს, რომ წლების განმავლობაში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს ეკუთვნოდა ეს ტერიტორია. აღნიშნულ სამართლებრივ აქტს უჭერს მხარს, რადგან ხელვაჩაურს სჭირდება ადმინისტრაციული ცენტრი, რაზედაც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გადადის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი, რომელიც მოქცეულია ფრიდონ ხალვაშის გამზირსა, გრიგოლ რობაქიძისა და ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩებს შორის მანძილი. გამოკითხულია მოსახლეობა აღნიშნულ მისამართებზე მცხოვრებლები და წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტაცია.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ ამ გადაწყვეტილებას მხარი არ უნდა დაუჭიროთ, რადგან ამ ტერიტორიების ქა-



ლაქზე შემოერთება მნიშვნელოვანი ისტორიული ხასიათის გადაწყვეტილება იყო. დღეს კი გადაწყვეტილების მოტივია, რომ ხელვაჩაურს არ აქვს ადმინისტრაციული ცენტრი, არა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი პროცედურების გავლით ადმინისტრაციული ცენტრი განსაზღვროს სხვა ადგილას. აღნიშნული სამართლებრივი აქტის მიღება დასაბუთებული არ არის.

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა - 1(ნ. ზოიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17  
წინააღმდეგი - 1 (მ. ქამადაძე)

**და ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი  
შუამდგომლობა.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში მოტოციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტროტრანსპორტით) გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის  
იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

(თანამომხს: სსიპ „ბათუმის ბულვარის“  
დირექტორი - ი. ჯინჭარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მოიჯარეს - შპს „ფერტუნა მედია“-ს, 100%-იანი წილის მესაკუთრე შპს „ალმა“-ს და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2014 წლის 16 ივნისს, 2016 წლის 10 თებერვალს და 2017 წლის 05 ივლისს დადებული შეთანხმებებით განისაზღვრა ქ.ბათუმის ტერიტორიაზე მგზავრთა მოსაცდელის განთავსების 100 ადგილი, პირველ ეტაპზე 50 და მეორე ეტაპზე 50 ადგილი. შპს „ალმა“-ს მიერ ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მოსაცდელის განთავსების დროს გამოიკვეთა გარკვეული სახის შეფერხებები, კერძოდ ზოგიერთ მისამართზე შეუძლებელი გახდა მოსაცდელის განთავსება ქუჩის ტროტუარის სივიწროვის, კომერციული ობიექტების მეპატრონეების და მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეების მხრიდან წინააღმდეგობების და სხვა მსგავსი მიზეზების გამო. შესაბამისად,

ზოგიერთ შემთხვევაში (სულ 14) მოსაცდელის განთავსება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისა შპს „ალმა“-ს ერთობლივი შერჩევით განხორციელდა შეთანხმებებით განსაზღვრული მისამართების ნაცვლად სხვა მისამართებზე, კერძოდ: პირველი ეტაპზე განთავსების 50 ადგილის (მისამართის) ჩამონათვალის მიხედვით ნაცვლად: ქ. ბათუმი, ბარათაშვილის ქ. №51; ქ. ბათუმი, შ. ხიმშიაშვილის ქ. №54-ს მიმდებარედ და ქ. ბათუმი, რუსთაველის ქუჩაზე (დელფინარიუმის მოპირდაპირედ განთავსდა ჭავჭავაძის ქ. №2-ს მიმდებარედ; ჭავჭავაძის ქ. №54-ს მიმდებარედ და ლერმონტოვის ქ. №90-ში. მეორე ეტაპის განთავსების 50 ადგილის (მისამართის) ჩამონათვალის მიხედვით ნაცვლად: თამარ მეფის გზატკეცილი (ახალი რკინიგზის სადგურის მოპირდაპირედ; ბაქოს ქუჩა(თევზის ბაზართან); ბაქოს ქუჩა (საკონტეინერო ტერმინალთან); ბაქოს ქუჩა(საკონტეინერო ტერმინალის მოპირდაპირედ); შავშეთის ქ.№18; აღმაშენებლის ქ. №13; აღმაშენებლის ქ. №21 (სავაჭრო ცენტრთან); კაჩინსკის ქუჩა(ახალი ბულვარის მოპირდაპირედ); აეროპორტის გზატკეცილის №230-ის მოპირდაპირედ; გონიოს ციხის მიმდებარედ და გონიოს ციხის მოპირდაპირედ განთავსდა წერეთელის ქუჩაზე (პლაზას მიმდებარედ); გონიოს ციხის გვერდით (სასაფლაოსთან); გონიოს ციხის გვერდით (სასაფლაოს მოპირდაპირედ); ჭავჭავაძის და სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩების კვეთაში; ქათამაძის და ლორთქიფანიძის ქუჩების კვეთაში; მელიქიშვილის ქ. №22-ში; მელიქიშვილის ქ. №61-ში; კობალაძის ქ. №2; ლერმონტოვის ქ. №69-ს მიმდებარედ; ჯავახიშვილის ქ. №33-ში და ტბელ აბუსერიძის ქ. №33-ში. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა, რომ ცვლილებები შევიდეს თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელ ორგანოს, საკრებულოს თავმჯდომარესა და შპს „ფერტუნა მედია“-ს (შემდგომში შპს „ალმა“) შორის 2014 წლის 16 ივნისს დადებულ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ალმა“-ს შორის 2016 წლის 10 თებერვალს და 2017 წლის 05 ივლისს დადებულ შეთანხმებებში, რაც შეიძლება განხორციელდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის საკრებულოს შესაბამისი თანხმობის მიცემით. მან წამოაყენა წინადადება დადგენილების ამოქმედება ჩაიწეროს 1 მაისიდან.

თანამომხსენებელმა სსიპ „ბათუმის ბულვარის“ დირექტორმა ი. ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოში შემოვიდნენ ინიციატივით მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის. ბულვარის მიზანია, რომ აღნიშნული რეკრიაციული ზონა ბათუმის ბულვარია, რომელიც ყველა ვიზიტორისათვის უნდა იყოს უსაფრთხო გარემო. სტატისტიკამ აჩვენა, რომ გარკვეული დროების მანძილზე, წლების განმავლობაში აცხადებდნენ დისლოკაციის ადგილს, სადაც ბაზირება იყო ელექტრომობილებისათვის. 2018 წელს ბულვარის ადმინისტრაციის მხრიდან გამოცხადდა 4 ბაზირების ადგილზე, ჯამში 24 ელექტრომობილი. ვითარებას ვხედავთ, რომ 1024 ელექტრომობილი გადაადგილდება. სისხლის სამართლის დანაშაულია 51 ადრული, რომელთა შორის არასრულწლოვნები, ასევე 5 წლამდე ბავშვებიც არიან დაშავებული. ყველამ გულთან უნდა მიიტანოს აღნიშნული ვითარება და ყველა მოქალაქე უნდა იყოს მშვიდ და უსაფრთხო გარემოში.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ გ ე ს :**

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ დასვა შეკითხვა მთლიან ბულვარზე აკრძალვის თაობაზე, ასევე 3 და 5 წლამდე ბავშვები შეიძლება დააზიანოს ველოსიპედმა, რაზედაც მომხსენებელმა უპასუხა, რომ მთლიან ბუ-

ლვარზე განხორციელდება აკრძალვა. ველოსიპედმაც რომ დააზიანოს ბავშვები შესაძლებელია, ასევე ფეხით მოსიარულეებმაც ერთმანეთს დაეჯახონ, მაგრამ საფრთხე არის კერძო ელექტრომობილებზე და ძრავიანი ტრანსპორტით. ბულვარის ადმინისტრაცია ყველა წელს ამცირებს ელექტრობილებზე ნებართვის გაცემას, მაგრამ მათ არ აქვთ ამკრძალავი სამართლებრივი აქტი.

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ აღნიშნა, რომ საკითხებს, რომელიც მისი შვილების და შვილისშვილების უსაფრთხოებაზეა, დაუჭერს მხარს. მას არასწორად მიაჩნია, რომ ბულვარის ტერიტორია დანაწილებულია სხვადასხვა ხელმძღვანელობის ფარგლებში ანუ ერთი ნაწილი ეკუთვნის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, მეორე კი მუნიციპალიტეტს. რამდენად სწორად მიაჩნიათ ბულვარის ტერიტორიის დაყოფა? რაზედაც დაეთანხმა ი. ჯინჭარაძე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს კონსულტაციები.

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ აღნიშნა, რომ რთული ამოცანაა დასახული, მაგრამ სწორი გადაწყვეტილებაა სამართლებრივი აქტის მიღება.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ წამოაყენა წინადადება დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, კერძოდ: დღეს მიღებული გადაწყვეტილებით იკრძალება, მაგრამ იმ ხალხზეც უნდა იფიქრონ, ვისაც შესყიდული აქვს ელექტრომობილები. აიკრძალოს მოტოციკლით და კვადროციკლით, მაგრამ ელექტრომობილი ამოღებული იქნას განკარგულებიდან.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ მ. ქამადაძის წინადადება (განკარგულებიდან ელექტრომობილების ამოღების თაობაზე) დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 1(მ. ქამადაძე)  
წინააღმდეგი - 18

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების (დადგენილება ამოქმედდეს 1 მაისიდან) გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18  
წინააღმდეგი - 1 (მ. ქამადაძე)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №72 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია საკრებულოს წევრის - თამაზ დევამის განცხადებით (N11/74; 19/02/2019 წ.), ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების მიზნით. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის შემადგენლობის დატოვებით.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა - 2 (მ. ქამადაძე, ზ. ნაკაიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17  
წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ს მ ი ნ ე ს :**

**4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №71 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია საკრებულოს წევრის - თამაზ დევამის განცხადებით (N11/74; 19/02/2019 წ.), ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სფეროში მუშაობისა და აღნიშნული კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების მიზნით.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა - 2 (მ. ქამადაძე, ზ. ნაკაიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ს მ ი ნ ე ს :**

**5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ერთ-ერთი საავტომობილო გზისათვის ქუჩის სტატუსის მინიჭების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ, ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩაზე არსებული წრიულიდან გიორგი ანწუხელიძის ქუჩამდე არსებული საავტომობილო გზისათვის ქუჩის სტატუსის მინიჭება.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა - 2 (მ. ქამადაძე, ზ. ნაკაიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი  
განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

6. „ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. N12–ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ილია (ემილიანე) ჟღენტის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ილია ჟღენტი, პროფესიით ისტორიკოსი, 45 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სხვადასხვა სკოლებს დირექტორის რანგში, ამავდროულად ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. დიდი ღაწლი მიუძღვის აჭარაში მოსწავლეთა აღზრდისა და სკოლის ხელმძღვანელობის საქმეში. 1965 წელს განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება. ის გახლდათ გამოჩენილი კინოდრამატურგის სულიკო ჟღენტის მამა. წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. N12–ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს ილია (ემილიანე) ჟღენტის სახელობის მემორიალური დაფა.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ თ ქ გ ე ს :**

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიას დაავალა დაიწყო მუშაობა მემორიალური დაფის მინიჭების წესის შემუშავებაზე.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა - 2 (ა. დევაძე, ნ. ზოიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ნატალია ზოიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.თ“ ქვეპუნქტის, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 11 პუნქტის, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის N34 დადგენილების 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №77 დადგენილების პირველი მუხლის შესაბამისად იქმნება ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** 8. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის  
სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **მიზეზი**: „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში ცვლილების შეტანა.

**მიზანი**: ქალაქ ბათუმში, აღმაშენებლის ქ. №21-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდები: 05.25.10.047 და 05.25.10.048 დადგენილი სატრანსპორტო ზონა 1-ის შეცვლა საზოგადოებრივ საქმიან ზონა 1-ით. გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული ნაკვეთები არ წარმოადგენს სატრანსპორტო ზონისათვის შესაფერის მიწის ნაკვეთს მდებარეობისა და რეგისტრაციის მიხედვით, ასევე ერთ-ერთ მიწის ნაკვეთზე ზონის დადგენამდე შეთანხმებული იყო საპროექტო დოკუმენტაცია და ზონის გამო ვერ ხერხდება მიწის ნაკვეთების განვითარება, მიზანშეწონილია დადგენილი ზონა შეიცვალოს საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1-ით.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიის სხდომაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიეცა რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი 20-30%-ით გაიზარდა.

საკრებულოს წევრმა გ. მგელაძემ გააცნო საკრებულოს საფინანსო კომისიის მოთხოვნა, რომ ბათუმის მერიის მიერ მოხდეს აღნიშნული მომსახურების შესყიდვა და კვლევების შედეგად მიღებული ფასები ხელახლა იქნას შემოტანილი საკრებულოს სხდომისთვის დასამტკიცებლად.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა - 3 (ა. დევაძე, მ. ქამადაძე, ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16  
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.



მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

9. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიზეზი: „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღება.

მიზანი: ქალაქის ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისა და სასტუმროებისათვის (მათ შორის მცირე ხნით დამკავებლებისათვის) პარკირების წესების განსაზღვრა. ქალაქის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განისაზღვროს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის ავტომანქანების პარკირებისათვის საზოგადოებრივ საქმიან ზონაში 150 კვ.მ-ზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ-2-ის საანგარიშო ფართზე არანაკლებ 1 ავტომანქანა, ხოლო საცხოვრებელ ზონაში 180 კვ.მ-ზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ-2-ის საანგარიშო ფართზე არანაკლებ 1 ავტომანქანა. ასევე სასტუმროებისათვის (მათ შორის მცირე ხნით დამკავებელთათვის) ნებისმიერ ზონაში განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ-2-ის საანგარიშო ფართზე არანაკლებ 1 ავტომანქანა.

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილების 15 პრიმა მუხლი განსაზღვრავს დამატებით საპროექტო პირობებს, თუმცა პარკირების წესები დადგენილია ზოგადად, ყველა ტიპის საპროექტო ობიექტისათვის, არ არის გამოქმნილი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და სასტუმროს ტიპის ობიექტებისათვის პარკირების წესი განსაზღვრულ ფართზე.

აღნიშნული ცვლილება მიზანშეწონილია, გამომდინარე იქედან, რომ უკვე განსაზღვრული ფართის მიწის ნაკვეთებზე მშენებელი ვერ ახერხებს დაიცვას პარკირებისათვის განსაზღვრული წესები, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“.

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებით დაწესებულია საკურორტო-სარეკრეაციო ზონა 2-ში (სრზ-2) ობიექტების განთავსებისათვის გარკვეული შეზღუდვები. მიზანშეწონილია შევიდეს აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილება და კონკრეტულად აღნიშნული ზონისათვის დასაშვები სახეობების ჩამონათვალს დაემატოს ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა/რეკონსტრუქცია (არა უმეტეს 3 სართულის, მაქსიმალური სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 12 მ-ს).

აღნიშნული ცვლილება რაც ხელს შეუწყობს საკურორტო სეზონისათვის არსებული ტერიტორიის სწორ და ეფექტურ გამოყენება-განვითარებას. აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებობდა საცხოვრებელი სახლები და მას შემდეგ რაც ტერიტორია შემოღუერთდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს, ის მოექცა საკურორტო-სარეკრეაციო ზონა 2-ში (სრზ-2), რომლისთვისად დადგენილი იყო შეზღუდვა ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებზე, რამაც ხელი შეუშალა იქ არსებული საკუთრების განვითარებას.

განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის განმეორებით გაზრდის შეზღუდვა იმ სამშენებლო მიწის ნაკვეთებზე, რომლებზეც უკვე განხორციელდა განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გაზრდა. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მის მიერ არ იქნეს განხილული საკითხი იმის შესახებ, როდესაც დამკვეთი განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გაზრდას მოითხოვს იმ სამშენებლო მიწის ნაკვეთზე, რომელზეც უკვე განხორციელდა კ2 კოეფიციენტის გაზრდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართობის გაზრდა განხორციელდება მიწის ნაკვეთის საერთო ფართის 40 % ან მეტი ოდენობით. აღნიშნული შეზღუდვა მნიშვნელოვნად დაარეგულირებს განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გაზრდაზე მომართვიანობის განუსაზღვრელ რაოდენობას, ვინაიდან არსებული მდგომარეობა დამკვეთს აძლევს უფლებას სამშენებლო მიწის ნაკვეთის მცირე, შეიძლება ითქვას სომბოლური ცვლილების შემთხვევაშიც (ვინაიდან არ არის განსაზღვრული მიწის ნაკვეთის ფართი) ხელმეორედ მიმართოს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა სპეციალურ (ზონალურ) კომისიას განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის ხელმეორედ გაზრდის თაობაზე. აღნიშნული შეზღუდვის შედეგად დამკვეთი ხდება იძულებული განაშენიანების კ2 კოეფიციენტის განმეორებით გაზრდის შემთხვევაში სამშენებლო მიწის ნაკვეთს მთარგოს დადგენილი სამშენებლო რეგულაციები, ეს ხელს შეუწყობს, უკეთ იქნეს დაცული ქალაქის განაშენიანება და გეგმარება და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი იქნება თავიდან ავიცილოთ ქაოტური მშენებლობები.

ქალაქის ტერიტორიაზე დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის შეზღუდვა იმ სამშენებლო მიწის ნაკვეთებზე, რომელთა ფართობი არ აღემატება 600.00 კვ.მ-ს.

აღნიშნული შეზღუდვა ემსახურება ქალაქის ტერიტორიაზე ქაოტური განაშენიანების და უსახური შენობების თავიდან აცილებას, კანონით გათვალისწინებული სამშენებლო რეგულაციების დაცვას.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დაწესდეს შეზღუდვა განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის დადგენილი ოდენობის მომატებაზე იმ სამშენებლო მიწის ნაკვეთებზე, რომელთა ფართობი არ აღემატება 600.00 კვ.მ.-ს. თუ სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 600.00 კვ.მ-ზე ნაკლებს, ეს წინააღმდეგობაში მოვა დადგენილ სამშენებლო რეგულაციებთან. განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტი განსაზღვრავს შენობის საერთო მოცულობას, კ2 კოეფიციენტის მომატება ძირითადად აისახება შენობის სართულიანობის გაზრდაზე, რაც მიზანშეუწონელია 600.00 კვ.მ. -ზე ნაკლები ფართის მქონე მიწის ნაკვეთზე, ვინაიდან სამშენებლო მიწის ნაკვეთი ვეღარ ექცევა იმ დადგენილ რეგულაციებში და სტანდარტებში, რასაც უნდა აკმაყოფილდებდეს ქალაქის განაშენიანება. აქვე უნდა განვმარტოთ რომ აღნიშნული ცვლილება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველიც იქნება, რომ მივიღოთ ქალაქის

სწორი განაშენიანება, როგორც ცნობილია უახლოეს პერიოდში უნდა დამტკიცდეს ქალაქის განაშენიანების რეგულირების გეგმა. განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გაზრდის შეზღუდვა განსაზღვრული ფართის მქონე მიწის ნაკვეთებზე. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გაზრდა განხორციელდეს შემდეგი წესით: იმ სამშენებლო მიწის ნაკვეთებისათვის, რომელთა საერთო ფართი შეადგენს 600-1200 კვ.მ-ს განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის ოდენობა შესაძლებელია გაიზარდოს იმ ზონისათვის „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებით განსაზღვრული ოდენობის 50 %-ით, ხოლო იმ სამშენებლო მიწის ნაკვეთებისათვის, რომელთა საერთო ფართია 1200-1800 კვ.მ. - იმ ზონისათვის დადგენილი ოდენობის 75%-ით; 1800-2500 კვ.მ. - იმ ზონისათვის დადგენილი 100%-ით. აღნიშნული შეზღუდვა მნიშვნელოვნად დაარეგულირებს განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გაზრდაზე მომართვიანობის განუსაზღვრელ რაოდენობას, შეზღუდვის შედეგად დამკვეთი ხდება იძულებული განაშენიანების კ2 კოეფიციენტის გაზრდის შემთხვევაში ის სამშენებლო ნაკვეთი, რომელიც მას აქვს საკუთრებაში ან სარგებლობაში მოარგოს დადგენილ სამშენებლო რეგულაციებს, ეს ხელს შეუწყობს, უკეთ იქნეს დაცული ქალაქის განაშენიანება და გეგმარება და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი იქნება თავიდან ავიცილოთ ქაოტური მშენებლობები. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ განსაზღვრული ფართის მქონე სამშენებლო მიწის ნაკვეთებზე დადგინდეს კ2 კოეფიციენტის გაზრდის შეზღუდვა გარკვეული პროცენტული მაჩვენებლებით.

## ა ზ რ ი

### გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძეს ბუნდოვნად მიაჩნია ეს საკითხი, რადგან კ2 კოეფიციენტი არსებობს, შეიძლება მიეცეს ნებართვა 3 სართულიანი სახლების მშენებლობაზე, ხვალ და ზეგ სხვა კ2 კოეფიციენტს გაზრდის და ისევ და ისევ გაიზრდება მაღალ-სართულიანი სახლების მშენებლობა.

საკრებულოს წევრმა ო. მახარაძემ წამოაყენა წინადადება ცვლილების შეტანის თაობაზე, კერძოდ: აღნიშნული დადგენილება ამოქმედდეს 1 აპრილიდან.

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ აღნიშნა, რომ ფრაქციის ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო ზონირების რუკაზე ზუსტი წერტილების დატანება, სადაც ჩანს, რომ მაცხოვრებლები ვერაფერს ვერ აკეთებენ, რადგან საკურორტო-სარეკრიაციო ზონის სტატუსი აქვს და ამის გათვალისწინებით ის მხარს დაუჭერს პროექტს.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ წამოაყენა წინადადება ცვლილების შეტანის თაობაზე, კერძოდ: კ2 კოეფიციენტის ზრდას ვნებათა-ღელვა მოყვება და ძირითადად ისეთი მშენებლობების დეველოპერებთან არის დიდი პრეტენზიები, რომლებიც ამ რეგულაციებში ვერ ექცევა 2500 კვ.მ-ს რომ ფლობენ. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც კ2 კოეფიციენტის ზრდას ეხება, მიღებული იქნას მხოლოდ საკრებულოს თანხმობით. ეს ზრდის საჯაროობას და გამჭვირვალობას.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ მ. ქამადაძის წინადადება დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა - 1 (ა. დევაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 1(მ. ქამადაძე)  
წინააღმდეგი -17

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების (დადგენილება ამოქმედდეს 1 აპრილიდან) გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა - 1 (ა. დევაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17  
წინააღმდეგი -1(მ. ქამადაძე)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

10.„ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო შპს „ალიანს სიტი“-ს (ს/კ N445548694) მოთხოვნის საფუძველზე. საკითხი ეხება რუსთაველის ქუჩის გაგრძელებაზე შპს „ბათუმი სიტი“-ს (ს/კN404885371) საკუთრებაში არსებულ საკადასტრო კოდზე (საკადასტრო კოდი: №05.23.04.021) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება საპროექტო ტერიტორია, რომელიც მდებარეობს რუსთაველის ქუჩის გაგრძელებაზე, მოიცავს ერთ საკადასტრო ერთეულს, მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:№ 05.23.04.021). მოცემული ტერიტორია განეკუთვნება საცხოვრებელ ზონას, სადაც დასაშვებია აღნიშნული ზონისათვის შესაბამისი შენობა-ნაგებობების განთავსება.

„ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების მიზანია, დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს არსებულ მიწის ნაკვეთზე შეჩერებული მშენებლობის ახალი საპროექტო წინადადებით განვითარებას, არსებული შენობის შესაძლო დემონტაჟს და მიწის ნაკვეთზე ახალი თანამედროვე მრავალფუნქციური კომპლექსის, სასტუმროს, სასტუმრო-აპარტამენტების, საცურაო აუზების, ლაუნჯების საოფისე ფართების, მაღაზიების, რესტორნების, ტურისტული და სპორტული ობიექტების დაპროექტებას.

მიწისქვეშა სივრცეში ასევე დაგეგმილია ავტოსადგომის არანაკლებ 450 მანქანაზე მოწყობა.

სამშენებლო სამუშაოების დაწყება დაგეგმილია 2019 წელს და სავარაუდოდ დასრულდება 2023 წელს. მშენებლობის პროცესში დასაქმდება არანაკლებ 500 საქართველოს მოქალაქე, ხოლო პროექტში განხორციელდება არანაკლებ 250 000 000 ლარის ინვესტიცია. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით საინვესტიციო წინადადებით დაგეგმილი მშენებლობა ფუნქციურად შეესაბამება საზოგადოებრივ-საქმიან ზონას, ზონის ცვლილების თაობაზე მოთხოვნა ასევე გაკეთებულია წარმოდგენილ განაცხადში.

განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) დამუშავებაზე თანხმობა გაცემულია მიწის ნაკვეთის და შენობის დრეჟანდელი მესაკუთრის მიერ და თანახმად წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

## ა ზ რ ი

### გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ აღნიშნა, რომ ზღვისპირა ზოლში მრავალსართულიანი შენობების აშენების წინააღმდეგი იყო თავიდანვე, აქედან გამომდინარე დღესაც ამ საკითხის წინააღმდეგია.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ მაღალსართულიანი სახლების აშენებასთან დაკავშირებით საკრებულოს მსჯელობა არ მიიღო უმრავლესობამ, ის პირადად წინააღმდეგია პირველ ზოლში მსგავსი შენობების

ბებისა, რომელიც ქალაქისთვის არავითარი წარმატება და მნიშვნელობა არ აქვს. გამო-  
მდინარე აქედან ასეთი გადაწყვეტილების  
მიღებისგან თავის შეკავება ურჩია.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა  
კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა -1 (ა. დევამე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15  
წინააღმდეგი -2(მ. ქამადაძე, ა. მამულაძე)  
არ მიიღო მონაწილეობა - 1(ზ. ნაკაიძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი  
განკარგულების პროექტი.

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს :**

11. „ქალაქ ბათუმის გარკვეული  
ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების  
გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების  
პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული  
წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების  
პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის  
სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის  
განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ადმინისტრაციული  
წარმოება დაიწყო შპს „ალიანს სიტი“-ს (ს/კ N445548694) მოთხოვნის საფუძველზე.  
საკითხი ეხება რუსთაველის ქუჩის გაგრძელებაზე შპს „ბათუმი სიტი“-ს  
(ს/კN404885371) საკუთრებაში არსებულ საკადასტრო კოდზე (საკადასტრო კოდი:  
№05.23.04.021) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას. როგორც  
წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება საპროექტო ტერიტორია, რომელიც  
მდებარეობს რუსთაველის ქუჩის გაგრძელებაზე, მოიცავს ერთ საკადასტრო  
ერთეულს, მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:№ 05.23.04.021). მოცემული  
ტერიტორია განეკუთვნება საცხოვრებელ ზონას, სადაც დასაშვებია აღნიშნული  
ზონისათვის შესაბამისი შენობა-ნაგებობების განთავსება.

„ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგული-  
რების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების მიზანია, დამტკიცდეს ქალაქ  
ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ  
ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც

უზრუნველყოფს არსებულ მიწის ნაკვეთზე შეჩერებული მშენებლობის ახალი საპროექტო წინადადებით განვითარებას, არსებული შენობის შესაძლო დემონტაჟს და მიწის ნაკვეთზე ახალი თანამედროვე მრავალფუნქციური კომპლექსის, სასტუმროს, სასტუმრო-აპარტამენტების, საცურაო აუზების, ლაუნჯების საოფისე ფართების, მაღაზიების, რესტორნების, ტურისტული და სპორტული ობიექტების დაპროექტებას.

მიწისქვეშა სივრცეში ასევე დაგეგმილია ავტოსადგომის არანაკლებ 450 მანქანაზე მოწყობა.

სამშენებლო სამუშაოების დაწყება დაგეგმილია 2019 წელს და სავარაუდოდ დასრულდება 2023 წელს. მშენებლობის პროცესში დასაქმდება არანაკლებ 500 საქართველოს მოქალაქე, ხოლო პროექტში განხორციელდება არანაკლებ 250 000 000 ლარის ინვესტიცია. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით საინვესტიციო წინადადებით დაგეგმილი მშენებლობა ფუნქციურად შეესაბამება საზოგადოებრივ-საქმიან ზონას, ზონის ცვლილების თაობაზე მოთხოვნა ასევე გაკეთებულია წარმოდგენილ განაცხადში.

განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) დამუშავებაზე თანხმობა გაცემულია მიწის ნაკვეთის და შენობის დღევანდელი მესაკუთრის მიერ და თან ახლავს წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი -1 (მ. ქამადაძე)

არ მიიღო მონაწილეობა -1(რ. თავართქილაძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

12. „გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 30 ნოემბრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ **მიზეზი**: „გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 30 ნოემბრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანა.

**მიზანი**: გარე რეკლამის განთავსებისათვის შესაბამისი წესების დადგენა, ერთ-ერთი ცვლილება ითვალისწინებს: ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაზე ან მის ნაწილზე (ვიტრაჟი, ფანჯარა და სხვა) რეკლამის, აბრის ან სხვა ნებისმიერი წარწერის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს რეკლამის, აბრის ან სხვა ნებისმიერი წარწერის უშუალოდ განთავსების ადგილის (შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის) ზედაპირის მოცულობის 20 %-ს.“ აღნიშნული ცვლილება ქალაქის იერსახის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. ცვლილებები ეხება გარე რეკლამის ნებართვის აღებისათვის საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალს.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა -1(მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18  
წინააღმდეგი -0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

13. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) მეორადი სამშენებლო და მეორადი სხვა მასალების სოციალურად დაუცველი, სტიქიით დაზარალებული და სხვა პირებისათვის გადაცემის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის  
უფროსი სოფიო მიქელაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიღების მიზეზი და მიზანია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის N2



განკარგულებით დამტკიცებულ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) მეორადი სამშენებლო და მეორადი სხვა მასალების სოციალურად დაუცველი, სტიქიით დაზარალებული და სხვა პირებისათვის გადაცემის პროგრამაში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელებულ სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით, შესაბამისი ცვლილებების შეტანა და დღეს მოქმედი სამსახურებისა და ორგანიზაციების გათვალისწინება.

განკარგულების პროექტის ძირითადი არსია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) მეორადი სამშენებლო და მეორადი სხვა მასალების სოციალურად დაუცველი, სტიქიით დაზარალებული და სხვა პირებისათვის გადაცემის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანა, რომლის მიხედვითაც: ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლების, ქალაქ ბათუმის მინიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა მატერიალური დახმარების გაწევის შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის ნაცვლად განისაზღვრა: ადმინისტრაციულ ერთეულში სერვის ცენტრის მენეჯერი, ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“, ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა მატერიალური დახმარების გაწევის შემსწავლელი მუდმივმოქმედი საბჭო.

**სხდომის თავმჯდომარემ ს. თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი  
არ ესწრებოდა -1(მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18  
წინააღმდეგი -0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი  
განკარგულების პროექტი.**

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

სულიკო თეზიძე

ოქმის სისწორეს  
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე — საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია:

ს. შვენთიძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული  
განყოფილების უფროსი

მ. თურმანიძე საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა  
და ადამიანური რესურსების მართვის  
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე — საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა  
და ადამიანური რესურსების მართვის  
განყოფილების უფროსი სპეციალისტი

